5.	ბიოლოგია	ე.ზაალიშვილი; თ.ზარდიაშვილი	„საგამომცემლო სახლი ტრიასი“/2020 წ.
6.	ფიზიკა	ქ.ტატიშვილი, ქეთევან სარდაძე, გიორგი ჭანტურია	„გამომცემლობა დიოგენე“/2023
7.	ქიმია	თინათინ ბუთხუზი, სოფიკო ფაცაცია	„გამომცემლობა გაძეთი ‘საქართველოს მაცნე‘.2023წ.
8.	პირველი უცხოურიენა ინგლისური	Tune Up3 თამარ ჯაფარიძე	გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“ 2022წ.
9.	მეორე უცხოურიენა(რუს)	მ.ლორთქიფანიძე; ი.ჩხეიძე, თ. ჩიმაკაძე ს-6	„გამომცემლობა არტანუჯი“/2012
10	სპორტი	გზამკველეები სპორტის სახეობებში- მასწავლებლის წიგნი ქ.ქობალია, მ.ტულუში	ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
12	არჩევითი საგანი	ასტრონომია 1-მოდული	

მეთორმეტე კლასი

N	საგანი	ავტორი	გამომცემლობა/წელი
1.	ქართული ენა და ლიტერატურა	v. rodonaia, n. nakudaSvili, a arabuli, m. xuciSvili გზამკვლევი მასწავლებლებისთვის	შპს „გამომცემლობა სწავლანი“ 2024 წ.
2.	მათემატიკა	გ.გოგიშვილი; თ. ვეფხვაძე; mebonia, I. QurCiSvili	„გამომცემლობა ინტელექტი“ 2024 წ
3.	საქართველოს ისტორია	დამხმარე სასწავლო მასალა XII კლასისთვის	შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა-ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“/2012
	გეოგრაფია	მ. ბლიაძე, მ. სეხნიაშვილი	„სულაკაურის გამომცემლობა“
4.	ქიმია	თინათინ ბუთხუზი, სოფიკო ფაცაცია, მ. კუჭუხიძე, თ.ხატისაშვილი	„გამომცემლობა გაძეთი ‘საქართველოს მაცნე‘.2024წ.
5	ფიზიკა	გიორგი.გედენიძე; ეთერ ლაზარაშვილი ილია ლონიძე	გამომცემლობა „ინტელექტი“
6	ბიოლოგია	დამხმარე სასწავლო მასალა 2024 წ. XII კლ. ა.შათირიშვილი, ს.ცაგარელი, ი.ლაზაშვილი	გამოცდების ეროვნული ცენტრი 2021 წ. გამომცემლობა „ტრიასი“
7	პირველი უცხოურიენა ინგლისური	Activate B1 + Joanne Jaylore Knowels,Carolyn Barraclough,Elaine Boyol,Suzzane Gaynor,Clare walsh,Jill Florent, Megan Roderick	Pearson
8	მეორე უცხოურიენა(რუს)	მ.ლორთქიფანიძე; ი.ჩხეიძე, თ. ჩიმაკაძე ს-7	„გამომცემლობა არტანუჯი“
9	მოქალაქეობა	დამხმარე სასწავლო მასალა	
10	სპორტი	გზამკვლევეები სპორტის სახეობებში- მასწავლებლის წიგნი ქ.ქობალია, მ.ტულუში	ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
11	არჩევითი საგანი	ასტრონომია მე-2 მოდული	

დამხმარე ლიტერატურის

ჩ ა მ ო ნ ა თ ვ ა ლ ი
კლასებისა და საგნების მიხედვით

N	კლასი	საგანი	ავტორი	გამომცემლობა/წელი
	IV	ქართული	ნ.გორდელაძე, თ.კუხიანიძე 1-11 ნაწილი	.ბაკურ სულაკაური 2018 წ.
	V	ქართული	ს. სარჯველაძე, მ.ხვედელიძე	,საქართველოს მაცნე"/2002
	VI	ქართული	მ. ხვედელიძე, ნ.ცხვედიანი	საქართველოს მაცნე"/2003
	VII,VIII,IX, X,XI,XII	ქართული	1.ქართველი მწერლები სკოლაში 14 ტომი 2.ნოდარ გრიგალაშვილი „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“ 3.გია მურღულია-„საუბრები ქართულ ლიტერატურაზე 4.ჯამბუ ავალიანი „პრაქტიკული ვარჯიშობა თანამედროვე ქართულ ენაში 5. შოთა რუსთაველი „ვეფხისტლაოსანი“ 6.დარეჯან თვალთვაძე - ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები 7.გია მურღულია - საზრისები 8.ა.შანიძე, ლ.კვაჭაძე	საქართველოს მაცნე 2010 წ.
	IV	მათემატიკა	ი. რუხაძე	„პედაგოგიკა“/2005წ.
	V	მათემატიკა	ე. ნურკი, ა. ტელგმა	„განათლება“/1999
	VI	მათემატიკა	ე.ნურკი; ე. ტელგმა	საქართველოს მაცნე/2009
	VII	მათემატიკა	გოგიშვილი - ამოცანათა კრებული	„განათლება“2004წ.
	VIII	მათემატიკა	იგივე	„განათლება“2004წ
	IX	მათემატიკა	ვ.ღვამბერიძე,	„განათლება“/2004
	X	მათემატიკა	ვ.ღვამბერიძე, ს.თოფურია	„პროგრესი“/2009–2011
	XI	მათემატიკა	1.ს.თოფურია1–2ტ„მათემატიკა“	„განათლება“1991წ.
	XII		2. .ვ.ღვამბერიძე	„პროგრესი“/2009–2011
	V- VI	ისტორია	1.უახლესი ისტორია;ე. თვალაშვილი; ც.ჩიკვაძე	„კონა“/2001
	VII; VIII; IX;X;XI	ისტორია	2.საქ. და მსოფლიო ისტორია; ზ.კიკნაძე; ვ.ნეიძე	„ლოგოსპრესი“/2007წ
			1. საქართველოს მეფეთა ისტორია ავტ.მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	„გამომცემლობა „გუმბათი“ 2015წ.
	VII- XII	გეოგრაფია	1მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია– გ.ჭანტურია; 2.გეოგრაფიის ენციკლოპედია ნ.მანჩხაველი 3.საქართველოს ფიზიკურ –გეოგრაფიული ობიექტების ახსნა–განმარტებები.	1.„ნეკერი“1998წ. 2.ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა; 3.თბილისი/2010წ
	X	ფიზიკა	ქანთარია-ჩიჩუა ამოცანათა კრებული .გ.გედენიძე;ე.ლაზარაშვილი “ ამოცანათა კრებული	„განათლება“/1988წ. „ინტელექტი/2009

XI-	ფიზიკა	1.ე.ბასიაშვილი,„აბტურიენტებისათვის’ 2.გ.გედენიძე;ე.ლაზარიშვილი „ამოცანათა კრებული”	„სპექტრი”/2010წ. „განათლება”1988წ. „ინტელექტი”/2010 „განათლება”/1987
IX,X, XI	ბიოლოგია	ლაბორატორიული აღჭურვილობა, მულაჟები	„დიოგენე”2007წ.
IX –XI	ქიმია	ც.გაგოშიძე; მ.მამიაშვილი; დ.გულაია სავარჯიშოების და ამოცანების კრებული	„საქართველოს მაცნე“/2004
1 კლასი	ინგლისური	<ul style="list-style-type: none"> • Setting out 1 - ავტორი: ტატიანა ბუკია • English pupil’s book - ავტორი: ცისანა ბურდილაძე-ლეჟავა • ონლაინ რესურსები 	
IIკლასი	ინგლისური	Let’s Read - https://en.islcollective.com/english-esl-worksheets/grammar/phonetics/lets-read-1/75003 ონლაინ რესურსები	
III კლასი	ინგლისური		
IV	ინგლისური	Round up2;Virginia Evans	„Longman” /2006
V	ინგლისური	<ul style="list-style-type: none"> • English Grammar ავტორები: E. Zambakhidze, M. Zambakhidze; • English Tests - Starter A2 ავტორები: E. Zambakhidze, M. Zambakhidze; • ონლაინ რესურსები 	„Longman” /2010/
VI	ინგლისური	<ul style="list-style-type: none"> • New Round-up 3 ავტორები:V. Evans, J. Dooley; • English Grammar ავტორები: E. Zambakhidze, M. Zambakhidze; • English Tests - Starter A2 ავტორები: E. Zambakhidze, M. Zambakhidze; • New Grammar Practice ავტორები: E. Walker, S. Elsworth. • ონლაინ რესურსები • Grammarway 1 - ავტორები: Jenny Dooley, Virginia Evans • English Grammar ავტორები: E. Zambakhidze, M. Zambakhidze; • Grammar practice პრაქტიკული სავარჯიშოები ინგლისურ ენაში - ავტორები: E. Zambakhidze, M. Zambakhidze; 	„Longman” /2006 /

			<ul style="list-style-type: none"> • Facts and Figures ავტორები: Linda Lee, Patricia Ackert; • New Grammar Practice ავტორები: E. Walker, S. Elsworth. • ონლაინ რესურსები 	
VII	ინგლისური	<ul style="list-style-type: none"> • What a world 1 - ავტორი: Milada Broukal • New Round-up 3,4 ავტორები: V. Evans, J. Dooley; • New Grammar Practice ავტორები: E. Walker, S. Elsworth. ონლაინ რესურსები <p>Grammar time 4; Maria Carling; Sandy jervis</p>	„Longman” /2009/	
VIII	ინგლისური	<ul style="list-style-type: none"> • English Grammar ავტორები: E. Zambakhidze, M. Zambakhidze; • Essential Grammar in Use ავტორი: Raymond Murphy • ონლაინ რესურსები 	„ Longman” /2006/	
IX	ინგლისური	<ul style="list-style-type: none"> • What a world 2 - ავტორი: Milada Broukal • Grammarway 3 - ავტორები: Jenny Dooley, Virginia Evans • ონლაინ რესურსები <p>Grammar time 4 ; Maria Carling; Sandy jervis</p>	„Longman” /2009/	
X	ინგლისური	Grammar time 5 ; Maria Carling; Sandy jervis	„Longman” /2009/	
XI	ინგლისური	Grammar time 5 ; Maria Carling; Sandy jervis	„Longman ” 2009/	
XII	ინგლისური	<ul style="list-style-type: none"> • Destination B1: Grammar & Vocabulary ავტორები: J. Taylore-Knowles and Steve Taylor-Knowles; • Concepts & Comments ავტორები: P. Ackert and L. Lee; <p>ონლაინ რესურსები CD დისკები აუდიო მაგნიტოფონები თვალსაჩინოებები:</p>	„ Longman” /2003/	

2025–2026 სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი დამხმარე რესურსის ჩამონათვალი საფეხურების და საგნების მიხედვით.

სკოლა-ლიცეუმი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, იყენებს სხვადასხვა დამხმარე რესურსებს საფეხურების გათვალისწინებით დაწყებითი საფეხური:

1. თვალსაჩინოებათა პაკეტი – ქართული ენა; / გამომცემლობა „დიოგენე“/
2. ქართველ მწერალთა პორტრეტები:
 - იაკობ გოგბაშვილი
 - შოთა რუსთაველი
 - ილია ჭავჭავაძე
 - აკაკი წერეთელი
 - ვაჟა ფშაველა
 - გალაკტიონ ტაბიძე
 - სულხან-საბა ორბელიანი
 - ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების სურათები
4. თვალსაჩინოება ბუნების გაკვეთილისთვის(ცხოველთა, ფრინველთა)
5. თვალსაჩინოება მათემატიკისთვის:
 - „ჩვენ და მათემატიკა“
 - „სტუმრად გეომეტრიასთან“
 - კომბინირებული დაფა მათემატიკური გაანგარიშებისთვის

❖ საბაზო და საშუალო საფეხური

ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა დ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. თვალსაჩინოების პაკეტი/ მასწავლებლის მეგზური და სქემა(2–3 ნაწილი)
 - არსებითი სახელი
 - ზედსართავი სახელი
 - ნაცვალსახელი
 - ზმნა
 - ზმნიზედა
 - თანდებული
 - კავშირი
 - ნაწილაკი
 - შორისდებული
2. მწერლების და პოეტების პორტრეტები
3. აუდიო და ვიდეო დისკები და ფილმები

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი:

ისტორიული რუკები(დიდმასშტაბიანი)

საქართველოს ინტერაქციული რუკა

- ძველი ეგვიპტე და შუამდინარეთი

- ძველი სპარსეთის სახელმწიფო
- ელინისტური სახელმწიფოები
- რომისა და პართიის ომები . ძვ.წ. III-I სს-ში
- არაბთა დაპყრობითი ომები VII-IX სს.
- ადრექრისტიანული საქართველო;
- საქართველო VII –VIII სს.
- თურქ-სელჩუკთა და ჯვაროსანთა სახელმწიფოები
- საქართველო XI-XII სს-ში
- საქართველო მონღოლთა შემოსევის დროს
- საქართველო IX – X სს – ში
- საქართველო და სამხრეთი X IXს –ის II ნახ-ში;
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918–1921 წელი

ისტორიული რუკები(მცირემასშტაბიანი)

- ქართველთა სამეფო და საკურაპალატო 888–1001წ
- საქართველო და მსოფლიო XIII ს-ის დასაწყისში
- ქართლის სერისმთავრო, არაბთა სახალიფო, ბიზანტია და ხაზარ სახაკანო VIII საუკუნის I ნახევარში;
- აფხაზთა სამეფო IX- X ს-ში;
- საქართველო 1920–1921 წლებში
- საქართველო XVIII ს-ის II ნახევარში
- ფინიკიური და ბერძნული კოლონიზაცია ძვ. წ. XI -VI სს და ძველი ეგრისის სამეფო
- საქართველო 1578– 1639 წწ
- სამხრეთ კავკასია და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები ძვ. წ. IV- III ათასწლეულში;
- ქართული სახელმწიფოები, ბიზანტია და სპარსეთი V სს-ის შუა წლებში ;

გ ე ო გ რ ა ფ ი ა

1. გლობუსი 2

2. რუკები:

- ნახევარსფეროების რუკა;
- რელიეფების რუკა;
- კავკასიის რუკა;
- საქართველოს ფიზიკური რუკა;
- საქართველოს რეგიონების რუკა;
- მსოფლიოს პოლიტიკური რუკა;
- მსოფლიოს კლიმატური სარტყლების რუკა;
- ევროპის პოლიტიკური რუკა ;
- ევროპის ფიზიკური რუკა;

<https://my.matterport.com/show/?m=w1tNjVcvsd6>

ვირტუალური ლაბორატორია

http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=14&id=213%3Faction%3Dpage&limit=10&p=0&paged=589

<https://el.ge/>

air.gov.ge

ჰაერის პორტალი

<https://ge.boell.org/ka/2020/06/25/narchenebis-martva-sakartveloshi>

narchenebis martva saqartveloshi

სახელმძღვანელები

<https://bit.ly/3w6I1Ml>

http://waste.gov.ge/ka/?page_id=3216

<https://www.geostat.ge/ka>

<https://www.youtube.com/watch?v=YUrBq6IE3g>

საბუნ

ბისმეტყველო მეცნიერებები

biology

1. სინათლის მიკროსკოპი

2. თვალსაჩინოებები:

- გულსისხლძარღვთა სისტემა
- სმენის ორგანო
- ნერვული სისტემა
- თავის ტვინის აგებულება
- მხედველობის ორგანო
- სახსრების აგებულება
- სახსრები და მოძრაობა
- სუნთქვის ორგანო
- საშაროსო მიწებელი ორგანოთა სისტემა
- კანი
- ფოთლის რბილობის განივი წრილი

chemistry

<https://www.youtube.com/watch?v=NjBfBmZVSm0>

Phet Interactive Simulation -სიმულატორები

http://chemistry.ge/periodic_table/index.php

ტელესკოპის გაკვეთილები

1.plakatebi:

- perioduli sistemis vrceli varianti – 2
- perioduli sistemis mokle varianti – 2

- wyalbaduri bma
- najeri naxSirwyalbadebi
- ujeri naxSirwyalbadebi
- nivTierebaTa kristaluri struqturebi da agregatuli mdgomareobebi.
- elementTa wyalbadnaerTebis Tvisbebi
- ionuri bma
- aldehydebi
- atomis aRnagoba. izotopebi. izobarebi.
- kovalenturi bma;

2.qimiuri WurWeli:

- sinjarebi
- menzura
- spirtnaTura
- mrgvalZira da erlenmeieris kolba.
- Wkiri
- Stativi
- qimiuri Wiqa.

f i z i k a

- WoWonaqi
- Uurika sawveTuriT
- kolbebi
- menzura
- linza
- simkvrivis cxrili

laboratoriuli aWurviloba (ix d

სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა

- ცნობილი მხატვრების ალბომები სერიიდან „ დიდი მხატვრები“
- აუდიო მაგნიტოფონი –2
- სასწავლო მოსასმენი მასალა – (CD)-I-IV, II, VI, VII, VIII, IX კლასები მ.ჩიკვაძე
- ჭადრაკის სადემონსტრაციო დაფა მაგნიტური ფიგურებით;
- ჭადრაკის დაფა ფიგურებით (რაოდენობა სამი) ინდივიდუალური ნც.
- ჩოგბურთის მაგიდა(რაოდენობა 1) (ჩოგანი,ბურთი)

საბავშვო ენციკლოპედია

ჩვენი დედამიწა; მსოფლიოს შვიდი საოცრება; უდაბნოები; ევროპა; ვიკინგები
ძველი საბერძნეთი; ხალხთა დიდი გადასახლება; ძველი რომი

„რა არის რა“ – 8 ცალი

თავი III

დ). მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები

ზოგადი ნაწილი

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების პროცესში „ახალი სკოლის მოდელის“ მიერ შემოთავაზებული ყველა ელემენტი: კომპლექსური დავალება, სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, თემატური მატრიცა, ტექსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკა – ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და მონიტორინგს.

მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები: მოსწავლის მიღწევები ფასდება სამი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით:

- როგორ ფლობს ფაქტობრივ მასალას (დეკლარაციული ცოდნა);
- როგორ ახორციელებს პროცედურებს (პროცედურული ცოდნა);
- რამდენად შეუძლია ნასწავლის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება (პირობისეული ცოდნა).

რაც გულისხმობს,

- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი; მან ხელი უნდა შეუწყოს: მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.
- მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმის (ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერიტი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.)
- უნდა შეფასდეს არა მარტო ინფორმაციის ფლობა, არამედ შეძენილი უნარ-ჩვევები, აზროვნების დემონსტრირების ფორმები და სხვა.

შეფასების ტიპები:

შპს სკოლა -ლიცეუმში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

განმავითარებელი

განმსაზღვრელი

ნი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა სწავლის შედეგი
სეზის საგანი	სწავლის პროცესი	
სეზის შედეგად მიღებული წყვეტლება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება /არდაშვება
საჩუქრის კრიტერიუმების დაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)

I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში მოსწავლე არ ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა შეავსოს განმავითარებელი შეფასების ცხრილი, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და საგნის სტანდარტს.

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღლ
9	
8	საშუალო მაღლ
7	
6	საშუალო
5	
4	დაბალ
3	
2	
1	

- I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს

და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ

	I-IV კლასები და V კლასის პირველ სემესტრში	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო საშუალო საფეხურები
მომდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელ შეფასება	განმავითარებელ შეფასება	განმავითარებელ შეფასება განმსაზღვრელ შეფასება
მომდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელ შეფასება	განმავითარებელ შეფასება განმსაზღვრელ შეფასება	განმავითარებელ შეფასება განმსაზღვრელ შეფასება
შემაჯამებელ დავალება	განმავითარებელ შეფასება	განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასება	განმავითარებელ შეფასება განმსაზღვრელ შეფასება

გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

- V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.
- V-XII კლასებში სპორტსა და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვისის სისტემით: ჩათვალა/არ ჩათვალა.
-

შეფასება კომპონენტების მიხედვით:

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

- ა) მომდინარე საშინაო დავალება;
- ბ) მომდინარე საკლასო ავალება;
- გ) შემაჯამებელი დავალება.

მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნების-მიერ კომპონენტში.

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ

კომპონენტებში:

- ა) მომდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
- ბ) მომდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
- გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

I-VI-კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება

შემაჯამებელი დავალებები:

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, სავლე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო

ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს

რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი:

- შემაჯამებელმა დავალებამ უნდა შეაფასოს ის, რაც მოსწავლეებმა კონკრეტული თემის გავლის შედეგად ისწავლეს;
- შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილი უნდა იყოს მოსწავლეთათვის;
- შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და არ იძლეოდეს ინტერპრეტირების საშუალება
- შეფასების რუბრიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომლის ათვისებასაც ემსახურებოდა გავლილი თემა;
- შეფასების კრიტერიუმებს შორის ქულები გადანაწილებული უნდა იყოს გონივრულად. სკოლა-ლიცეუმის V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის, განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

2025-2026 ს.წ. შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა

(დაზუსტებული)

N	საგანი	V კლასი		VI კლასი		VII კლასი		VIII კლასი		IX კლასი		X კლასი		XI კლასი		XII კლასი	
		I ს.	II ს.	III ს.	IV ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.
1	ქართული ენა და ლიტერატურა	0	5	3	3	2	3	3	3	2	3	3	3	3	3	3	3
2	მათემატიკა	0	5	3	4	2	2	3	3	2	4	2	4	2	4	3	4
3	პირველ უცხოური ენა (ინგლისური)	0	3	2	3	2	3	2	3	2	3	3	4	2	3	3	2
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)	0	2	1	2	2	2	2	2	1	2	2	3	2	3	2	2
5	საქართველს ისტორია											2	2				
6	ისტორია					2	2	2	2	2	2	2	3	2	3	1	1
7	გეოგრაფია					2	2	2	3	2	2	3	3	2	3		
8	სამოქალაქო განათლება (მოქალაქეობა)					2	2	1	1	1	2	1	2				1
9	ჩვენი საქართველო	0	3	2	3												
10	ბუნებისმეტყველება	0	4	3	4												
11	ბიოლოგია					2	3	2	2	2	3	2	3	2	3		
12	ფიზიკა					1	2	1	1	1	1	2	3	2	3		
13	ქიმია							2	2	2	2	2	3	2	3		
14	სახვითი და გამოყენებითი ხელნეშობა	0	2	2	2	1	2	2	1	1	1						
15	მუსიკა	0	2	2	2	1	2	1	2	1	2						
16	ინფორმაციული ტექნოლოგიები	0	2	2	2												
17	ფიზიკური აღზრდა და სპორტი							2	4	2	3						
18	არჩევითი საგნები; 1. „მსოფლიო კულტურა“ 2. ასტრონომია „1 მოდული“ 3. ასტრონომია „II მოდული“											1	1		1		1

შემაჯამებელი დავალებების ტიპები:

შემაჯამებელი დავალებების ტიპები განისაზღვრება საგნობრივი კათედრების მიერ. გაწერილია თითოეული მასწავლებლის შემაჯამებელი სამუშაოების გეგმის ამსახველ პორტფოლიოში. გამოკრულია თითოეულ კლასში მოსწავლისთვის თავალსაჩინოდ, როგორც შემაჯამებელი სამუშაოების გრაფიკი, ასევე შეფასების კრიტერიუმები. პარალელურ კლასებში, საგნობრივი კათედრების მიერ, შემაჯამებელი დავალებები დაგეგმილია ერთი სქემის მიხედვით და არ არის თვისებრივად/შინაარსობრივად განსხვავებული..

- შემაჯამებელი დავალებების ჩატარების გრაფიკი განისაზღვრა საგნობრივი კათედრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. განრიგი განსაზღვრულია საგნების საათობრივი დატვირთვის და საორიენტაციო თემების შესაბამისად. შემაჯამებელი დავალებების ჩატარების გრაფიკი სასკოლო-სასწავლო გეგმას თან ახლავს დანართის სახით (იხ. დანართი N4)
- მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს სკოლის მიერ განსაზღვრული და კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება
- შპს სკოლა-ლიცეუმის მიერ განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: თუ მოსწავლე, გაცდენის გამო არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას იგი ვალდებულია მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე აღადგინოს გაცდენილი შემაჯამებელი დავალება არასაგაკვეთილო დროს.
- სკოლის თითოეული მასწავლებელი სემესტრის ბოლოს საგნობრივ კათედრას წარუდგენს ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ამსახველ შემდეგ დოკუმენტაციას:
 1. პორტფოლიო: მოიცავს მასწავლებლის მიერ კონკრეტულ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაციას: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები, ასევე, მოსწავლის მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების ორი ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.
 2. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის ფორმა: მოიცავს კლასში ჩატარებული თითოეული შემაჯამებელი დავალების რაოდენობრივ მონაცემებს - საშუალო ქულას, თითოეული შემაჯამებელი დავალების თვისებრივ ანალიზს, გასაუმჯობესებელ მხარეებს და შემდგომი გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციებს.

შემაჯამებელი სამუშაოების დაგეგმვის, წარმართვის და მონიტორინგი მიზნით სკოლა-ლიცეუმში შემუშავებულია მექანიზმი. სკოლის სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან. მონიტორინგისთვის შეარჩევს თითოეული საგნობრივი კათედრიდან ერთ შემაჯამებელ დავალებას. შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მასწავლებელი მონიტორინგის ჯგუფს აწვდის:

- მისაღწევ შედეგებს ინდიკატორების მითითებით ესგ-დან, რომლის მიღწევის შეფასებაც დაისახა მიზნად აღნიშნული შემაჯამებელი სამუშაოთი;
- თავად შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებს (საბოლოო ვერსიას);
- თითოეული დავალების შეფასების რუბრიკას;

შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღისა:

- მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, დირექციისგან იღებს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს.

შემაჯამებელი სამუშაოს პროცესში:

- შემაჯამებელი სამუშაოს პროცესის ობიექტურად მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესამღებელია, მოხდეს მონიტორინგის ჯგუფის წევრის დასწრება შემაჯამებელი სამუშაოს მიმდინარეობაზე;

შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ:

- შემაჯამებელი სამუშაოს ობიექტურად შეფასების მიზნით, შესაძლებელია ადმინისტრაციამ შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმოს მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი სამუშაო/სამუშაოები. მასწავლებლები ყველა მტკიცებულებას აგროვობენ და ინახავენ, რათა საბოლოო შედეგების დადასტურებისას არგუმენტირებულად წარმოადგინონ პოზიცია. მაგალითად: ზეპირი გამოკითხვის დროს მტკიცებულება იქნება ვიდეოჩანაწერი, წერილობითი დავალების დროს – გასწორებული ნამუშევრები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში – მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და ა. შ.
- მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელთან ერთად იღებს უკუკავშირის მონი-ტორინგის ჯგუფისგან შემაჯამებელი სამუშაოს ყველა ეტაპთან დაკავშირებით;
- მონიტორინგის შედეგებს განიხილავს საგნობრივი კათედრა, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნი;
- შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები ინახება 3-წლის ვადით;

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები

1. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

2. ვერიფიკაციის ამოცანებია:

ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან;

ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი;

გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;

3. მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის (მაგ. მოსწავლისათვის მიცემული ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ტესტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მოსწავლისათვის მიცემული დავალების შეფასების პროცესის (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების (მოსწავლის მიერ შესრულებული ტესტის, დავალების, პროექტის, ნაშრომის და ა.შ) ვერიფიკაცია.

4. შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლამ შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს სემესტრული ნიშნის ამაღლება თუ მიღებული ქულა არ აკმაყოფილებს.

ვერიფიკაციის პრინციპები

1. მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

2. შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

3. შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

4. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა მოსწავლისათვის

5. შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის, - შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, თუ შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

6. შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

ვერიფიკაციის პროცესი

1. შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემსტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ. წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან) ან გეგმიურად (საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს).

2. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში შესაძლებელია განხორციელდეს:

- ა) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
- ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
- გ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
- დ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
- ე) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
- ვ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
- ზ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
- თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
- ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;

3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს, წინამდებარე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ხდება ვერიფიკაციის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები

შეფასების სისტემის ვერიფიკაცია შესაძლებელია განახორციელოს:

- დირექტორის მოადგილემ;

- შესაბამისმა საგნობრივმა კათედრამ (ურთიერთაღსწრების, შეფასების რუბრიკების შემუშავების, შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს);
- დირექტორის მიერ შექმნილმა კომისიამ (მაგ. სემესტრული გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილმა კომისიამ);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფმა მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება/კომპეტენციების შემოწმება).

შემაჯამებელ დავალებათა აღდგენის ბაძე

N	გვარი, სახელი	კლასი	შეუსრულებელი დავალებ. თარიღი	აღდგენის თარიღი	ჩატარების ფორმა(ინდ/ჯგ.)	ქულა	შენიშვნა

ქულების გამოანგარიშების წესი

საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში შემაჯამებელში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6. 15 მრგვალდება 6-მდე, 7. 49 მრგვალდება 7-მდე, 8. 5 მრგვალდება 9-მდე);
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი იყოფა ორზე;
- ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7. 25 მრგვალდება 7-მდე, 4. 49 მრგვალდება 4-მდე, 9. 5 მრგვალდება 10-მდე);
- გ) თუ მოსწავლეს, სხვა სკოლიდან სემესტრის მიმდინარეობისას გადმოსვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5. 0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, სკოლა ვალდებულია შეაფასოს მოსწავლე ახალ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

დ) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლაში გადმოსვლის გამო, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა.

საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
- ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6. 43 მრგვალდება 6. 4-მდე, 7. 58 მრგვალდება 7. 6-მდე).

კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული ყველა სავალდებულო და არჩევით საგანში ჩათვლა რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.
2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

გამოცდის ტიპები

სკოლა -ლიცეუმში 2022-2023 სასწავლო წელს შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები::

- ა) სემესტრული გამოცდა;
 - ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
 - გ) საშემოდგომო გამოცდა;
 - დ) ექსტერნატის გამოცდა;
1. **სემესტრული გამოცდა** ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარს დირექტორი პოზიციას დაასაბუთებს წერილობით. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის

სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

2. **.სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს** გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა იყოს ორწლიანი შეალედი მაინც.
 - წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას .
 - .სკოლა ვალდებულია გამოცდაზე შემაჯამებელი დავალების მსგავსი შინაარსიანი, კონტექსტუალიზებული, კომპლექსური დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხიანი ტესტების შეთავაზება.
 - .წლიური გამოცდის ქულა გავლენას ახდენს საგნის წლიურ ქულაზე. საგნის წლიური ქულის გამოთვლისას წლიური გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულებს და ჯამი იყოფა სამზე
 1. 2025-2026 სასწავლო წელს წლიური გამოცდა ჩატარდება შემდეგ კლასებსა და საგნებში: Nსაგანი, კლასი :
 1. ქართული ენა და ლიტერატურა 10კლ
 2. მათემატიკა 9 კლ.
 3. ისტორია 8 კლ.
 4. ინგლისური ; მათემატიკა 7 კლ.
 - 5 ქიმია 8,
 2. წლიურ გამოცდას ჩააბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ. ამ შემთხვევაში სკოლა მოახდენს საგამოცდო მასალის ადაპტირებას - შეიქმნება ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
3. **საშემოდგომო გამოცდა** ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5,5-ზე ნაკლები. სკოლა-ლიცეუმში საშემოდგომო გამოცდა ტარდება სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს ეძლევა არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. სკოლა წინასწარ გაუწევს კონსულტაციებს მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

4.ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

4.1. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული ლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტულ საგნისათვის

გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

4.2. დირექტორი უფლებამოსილია, მოსწავლის, კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვისა და წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება იმ გაცდენებზე, რომლებიც მოსწავლეებს დაუბრუნებდათ ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობის პერიოდში, „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მე-8 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე. (ახალი ცვლილება 06.03.25წ. რესურს ცენტრიდან)

დიაგნოსტიკური წერები

2025–2026 სასწავლო წლის მეორე სემესტრის მაისში დაგეგმილია მე-3, მე-4 და მე-5 კლასებში დიაგნოსტიკური წერის ჩატარება მათემატიკაში.

დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტიკა, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. დიაგნოსტიკური წერის შედეგები ნიშანზე გავლენას არ ახდენს;

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

1. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური
2. შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას.
3. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10 დამრგვალების გარეშე იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
4. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
5. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი სერტიფიკატები არ გაიცემა.

სკოლას პროექტების სახით არჩეული აქვს:

პროექტი სამოქალაქო განათლებაში X; XI კლასი

პროექტი მუსიკაში XI კლასი

პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში X კლასი

შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა

სკოლა-ლიცეუმი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცე ბულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

გაცდენები

1. მოსწავლის გაცდენები აღრიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში.
2. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება.
3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა

კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

4. კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.

5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

შეფასება და გაცდენები (ცხრილი)

საგნის სთ. რაოდენობა კვირაში	საგნის საათობრივი რაოდენობა სასწავლო წლის განმავლობაში	გაცდენა
1	35 სთ	10-11 სთ
2	70 სთ	20-21 სთ
3	105 სთ	30-31 სთ
4	140 სთ	40-41 სთ
5	175 სთ	50-51 სთ

შინ სწავლება

1. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭი-როებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლი-სათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.
2. სკოლა ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზ-ღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს.
3. შინ სწავლების პროცესში რეკომენდებულია დისტანციური სწავლების) ფორმის გამოყენება.
4. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას.
5. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.
6. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარე

თავი IV

- ე). ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება არ გვაქვს .

ვ). ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა

სკოლა-ლიცეუმი „სანთელი“, მოსწავლეთა მშობლების მოთხოვნით მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათ-ლებლო საადმინისტრაციო მომსახურებას სხვადასხვა მიმართულებით, რომლის მიზანია „ხელს უწყობდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას“. (ე.ს.გ.მუხლი 12, 1 პუნქტის 1¹ პუნქტი)

ზემოაღნიშნული მომსახურების მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდების თვითშემოქმედებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის სასარგებლო პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, თავისუფალი დროისადმი რაციონალური და შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.. თანადგომის, ურთიერთპატივისცემის, პრობლემის ერთობლივი გადაწყვე-ტის, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას..

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურება განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით.:

1. სკოლა-ლიცეუმი „სანთელი“ I-VI კლ.მოსწავლეებს, მშობლების თხოვნის გათვალის-წინებით, სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას დღის მეორე ნახევარში ე.წ. **გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფს**, რომელსაც ხელმძღვანელობს მასწავლებელი., სადაც მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან საშინაო დავალებების (გაკვეთილების) მომზადებით მასწავლებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში მისი დახმარებით.. დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში კი – ეძლევათ რეკომენდაციები შეუსრულებელი დავალებების ირგვლივ სახლში მოსამზადებლად.

2. 2025-2026 სასწავლო წელს სკოლა-ლიცეუმი აგრეთვე სთავაზობს უფასო კლუბებს:

✓ **სამოქალაქო კლუბი „ მოაზროვნე “**

კლუბის მიზანი: მოსწავლეებს განუვითარდეთ სააზროვნო უნარები ; მოსწავლეებმა ითანამშრომლონ სხვადასხვა საკითხების მოგვარებისთვის; განუვითარდეთ აქტიური მოქალაქის შესაბამისი უნარ-ჩვევები;

✓ **ლიტერატურული კლუბი „ ცოდნის მეგზური“**

კლუბის მიზანია : კლუბი „ცოდნის მეგზური“ ითვალისწინებს სკოლა-ლიცეუმის დაწყებითი და საბაზო სკოლის მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებას, ცნობიერების ამაღლებას, პიროვნული თვისებების დახვეწასა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას;

✓ **ეკოკლუბი -„მწვანე კლუბი“**

კლუბის მიზანია : ეკოკლუბი „მწვანე კლუბი“ მიზნად ისახავს მოსწავლეთა სამოქალაქო და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, პიროვნული თვისებების დახვეწას და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

თავი V

ზ). პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

IX-XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობა პროფესიული ორიენტაცია (პროფორიენტაცია) მოსწავლის მიერ პროფესიის სწორედ არჩევაში დახმარებას გულისმობს. პროფესიული ორიენტაცია საკუთარი თავის, შრომითი ბაზრისა და

საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ორგანიზება და სისტემაში მოყვანა.

მოსწავლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი კარიერის სამართავად. კარიერის დაგეგმვა ეხმარება მოსწავლეებს დაფიქრდნენ საკუთარ ინტერესებზე, კვალიფიკაციასა და უნარებზე, ისწავლონ სამუშაოს და სწავლის პროცესის დაგეგმარება და მის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. სკოლა - ლიცეუმში IX და XI კლასებში 2025-2026 სასწავლო წელს დაგეგმილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის გაკვეთილები რომლის მიზანია ხელი შეუწყოს და დაეხმაროს მოსწავლეებს პროფესიის სწორად არჩევასა და კარიერის დაგეგმვაში.

პროფორიენტაციის ამოცანებია:

- ✓ დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაში;
- ✓ გააცნოს მოსწავლეებს პროფესიათა სამყარო, ცალკეული პროფესიის თავისებურებანი და ის მოთხოვნები. რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს, აგრეთვე ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობანი;
- ✓ დაეხმაროს მოსწავლეს კონკრეტული პროფესიის სწორედ არჩევაში.
- ✓ ამ მიზნით დაგეგმილია აქტივობები და გაკვეთილები, საორიენტაციო თარიღებით.

IX –X კლასი

თემის სახეწოდება	მიმართულება	მიზანი	თარიღი
როგორმოაგვართო კონფლიქტი	პიროვნულ და მორალურ განვითარება	კონფლიქტის მართვის უნარ-ჩვევების განვითარება	
ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები საქართველოში	პროფესიულ და კარიერულ წინსვლას მიმართულება	განათლების მიღებისა და მისი ფორმირების არსში გარვევა	
ჩემი მომავალ პროფესია	პროფესიულ და კარიერულ წინსვლას მიმართულება	მომავალ პროფესიის სწორადმეჩვენება და განსაზღვრა. საკუთართავში რეალური შესაძლებლობების შეფასება.	
პროფესიულ განათლების ხელშეწყობა და ხელმისაწვდომობა	პროფესიულ და კარიერულ წინსვლას მიმართულება	პროფესიულ სწავლების მრავალფეროვნებისა და მრავალფეროვნებაზე ინფორმაციის ფლობა	
არ ნარეოტეკს	ჯანსაღი ცხოვრების წესი	ნარეოტეკის მიხმარების საშიშროების გააზრება და ურყეოთ შეგავლენა	
ჰოლნდის ტაპოლოგია	პროფესიულ და კარიერულ წინსვლას მიმართულება	პროფესიის არჩევის და პიროვნების ფიქიოლოგიური თვისებების თანხვედრის არსის გააზრება	

პროფორიენტაცია და კარიერის დგეგმვა	პროფესიულ და კარიერულ წინსვლას მიმართულება	მიზანი: მოსწავლეთა დხმარება შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერება და განვითარება.	
სპორტ – ჯანსაღ ცხოვრების აუცილებელ პირობა	ჯანსაღი ცხოვრების წესი	ჯანსაღი ცხოვრების წესის გააზრება	
სწრაფვა წარმატებისკენ	პიროვნულ და მორალურ განვითარება	მიზნის დასახვა და შრომა, ოპტიმიზმი და საკუთარი თავის გაცნობა -გააზრება	
თვითგანვითარება	პიროვნულ და მორალურ განვითარება	თვითრეალობისა და თვითგანვითარების გააზრება	

XI კლასი

თემის სახელწოდება	მიმართულება	მიზანი	თარიღი	შენიშვნა
ვიზიტო ი.ჯავახიშვილს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესიულ და კარიერულ წინსვლას მიმართულება	უმაღლესი სასწავლებლების დანიშნულების გააზრება	ოქტ	
ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები საქართველოში	პროფესიულ და კარიერულ წინსვლას მიმართულება	განათლების მიღებისა და მისი ფორმების არსში გარკვევა	ნოემბ.	
ვიზიტო საწარმოში	პროფესიულ და კარიერულ წინსვლას მიმართულება	პროფესიის არჩევის და პიროვნების ფიქიოლოგიური თვისებების თანხვედრის არსის გააზრება	დეკ.	
ყველზე მოთხოვნად პროფესიები	პროფესიულ და კარიერულ წინსვლას მიმართულება		იანვ.	
მხალსეობრივი შრომა სამოქალაქომონაწილეობა სტყირები: გერმანელ მხალსეები	მოქალაქობრივი ცნობიერება	სამოქალაქომონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება	თებერვ.	

ვიზიტ თავის უფლ უნივერსიტეტი	პროფესიული და კარიერული წინსვლის მიმართულება	საგანმანათლებლო სასწავლებლების, პროგრამების გაცნობა და დოკუმენტაცია	მარტ	
ვიზიტ კავკასიის უნივერსიტეტი	პროფესიული და კარიერული წინსვლის მიმართულება	საგანმანათლებლო სასწავლებლების, პროგრამების გაცნობა და დოკუმენტაცია	აპრილი	
ვიზიტ უზენაეს სასამართლოში	პროფესიული და კარიერული წინსვლის მიმართულება	საგანმანათლებლო სასწავლებლების, პროგრამების გაცნობა და დოკუმენტაცია	მაისი	
ვიზიტ საწარმოში	პროფესიული და კარიერული წინსვლის მიმართულება	საგანმანათლებლო სასწავლებლების, პროგრამების გაცნობა და დოკუმენტაცია	ივნისი	

ო) სამეწარმეო უნარების განვითარება და ინიციატივების წახალისება - მეწარმეობა არის ინდივიდის უნარი, იდეები აქციოს საქმედ. ის მოიცავს როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის, ასევე დასახული მიზნის მისაღწევად დაგეგმილი პროექტების მართვის უნარს. მეწარმეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასკოლო თემის ცხოვრებაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისთვის. მეწარმეობის საფუძვლების გათავისება მოსწავლისთვის ფართო ასპარეზია ინოვაციური იდეების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელებისთვის. იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარია, რომლის მქონე თითოეული ინდივიდი ავტომატურად ხდება საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი, რაც მისი მოქალაქეობრივი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ზრდასაც განაპირობებს. ამის გათვალისწინებით, სკოლის საერთო კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს უნდა აძლევდეს საკუთარი ინიციატივების რეალიზებისა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI კლასში დამრიგებელთან ერთად ჩატარდება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად, რომელიც ასახულია სკოლა-ლიცეუმის 2025-2026 სასწავლო წლის სადამრიგებლო საათის პროგრამაში

სკოლა-ლიცეუმი შესაბამისი კლასის/კლასების დამრიგებლების დირექტორის მოადგილის სასწავლო აღმზრდელით დარგში და უსაფრთხოების დაცვის მენეჯერის მონაწილეობით, თავად მოაწიებს შეხვედრების ორგანიზებას პროფესიის არჩევისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულების კუთხით, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან მათი პროგრამების გაცნობის მიზნით. მოახდენს მოსწავლეთა ინფორმირებას განათლების და შრომის ბაზარზე არსებული თანამედროვე გამოწვევების შესახებ, მოაწიებს ექსკურსიებს უმაღლეს სასწავლებლებსა და წარმატებულ საწარმოებში.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის გათვალისწინებით 2025-2026 სასწავლო წლის საექსკურსიო აქტივობების განრიგი (IX- XI-კლასი)

N	აქტივობის ობიექტი	აქტივობის განხორციელების დრო და ადგილი	პასუხისმგებელი პირი
1.	პოლიმერული მასალების ნაკეთობათა ქარხანა	ნოემბერი გ.მუხამის ქ.	მეწარმეობის პედაგოგი ქიმიის მასწავლებელი კლ.დამრიგებელი
2	რძის პროდუქტების მწარმოებელი კომბინატი „სანტე“	დეკემბერი კახეთის გზატკეცილი	მეწარმეობის პედაგოგი ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელი კლ.დამრიგებელი
3.	„პეპსი“ს მწარმოებელი ქარხანა	თებერვალი თ.ჩანტლაძის ქ.	მეწარმეობის პედაგოგი , ქიმიის მასწავლებელი კლ.დამრიგებელი
4	შპს „ზედეგი“ სამშენებლო მასალების წარმოება	მარტი ძმები სლოვინსკების ქ.	მეწარმეობის პედაგოგი , ქიმიის მასწავლებელი კლ.დამრიგებელი
5	მ ეორადი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო	აპრილი თ.ჩანტლაძის მე-2 ჩიხი	მეწარმეობის პედაგოგი , ქიმიის მასწავლებელი კლ.დამრიგებელი
6	ხის გადამამუშავებელი საწარმო „წუნდა“	აპრილი თ.ჩანტლაძის ქ.1	მეწარმეობის პედაგოგი , ფიზიკის მასწავლებელი კლ.დამრიგებელი
7.	შპს „ფუდმარტი“	ორხევი თ.ჩანტლაძის ქ.40	მეწარმეობის პედაგოგი, ბიოლოგიის მასწავლებელი კლ.დამრიგებელი

თავი VII

თ). ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ასეთის საჭიროების შემთხვევაში

ინკლუზიური განათლება

1. ზოგადი მიმოხილვა.

ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში თანატოლებთან ერთად, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური თუ სხვა მახასიათებლები გააჩნიათ.

სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მისთვის/მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლა მზად არის სსსმ მოსწავლეს შეუქმნას მისი საჭიროებებიდან გამომდინარე სასწავლო და ფიზიკური გარემო.

უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლის შემთხვევაში სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში სრულად იქნება შემუშავებული სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველა საგანში, შინ სწავლების შემთხვევაში შემუშავებული იქნება მეცადინეობის განრიგი მშობელთან შეთანხმებით. საჭიროების შემთხვევაში მშობლებისათვის გაწეული იქნება კონსულტაცია მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ მოსწავლის შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით. ფსიქოლოგის მიერ წლის განმავლობაში მოხდება მონიტორინგი და ხელშეწყობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.

ა) ფიზიკური შეზღუდვა;

ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;

გ) სწავლის უნარის დარღვევა;

დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);

ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;

ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

2. ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისობრივ ცვლილებებს, რომელიც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

3. სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ისეთ ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:

- ა) სკოლისა და კლასის ფიზიკური გარემო;
- ბ) საათობრივი ბადე;
- გ) დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა;
- დ) სასწავლო მასალა;
- ე) სწავლების სტრატეგია;
- ვ) ალტერნატიული შეფასების გამოყენება (ტესტირება, წერიტი დავალება, ზეპირი დავალება და სხვა.) და სხვა.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შესაბამისად, შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.
5. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
 - ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
 - ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;

- გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
- დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: მასწავლებელი და/ან ფსიქოლოგი (საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგის და სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი ან პიძა) ჩართულობით);
- ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);
- ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გაითვალისწინებს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.
 7. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის შესაძლებლობების შეფასებას. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის დეტალური შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლა მიმართავს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი).
 8. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლა ბრძანებით განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფს (შემდგომში – ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.
 9. ისგ ჯგუფში გაერთიანდებიან ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე, მშობელი/მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები და ფსიქოლოგი.
 10. ისგ ჯგუფს ეყოლება კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; ჯგუფს ხელმძღვანელობას

გაუწევს დამრიგებელი ან ფსიქოლოგი.

11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ ჩატარდება ისგ ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.
12. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ფსიქოლოგი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
13. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას აწვდის სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებულ სრულ დოკუმენტაციას (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).
14. სკოლა უფლებამოსილია სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელოს ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე. სსსმ მოსწავლეების სწავლებისას შესაძლებელია გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი, გამოყენებულ იქნეს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული სხვა საგანმანათლებლო რესურსები/სერვისები.

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ზოგადი ინფორმაცია

მოსწავლის სახელი, გვარი		პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი		ასაკი	
სკოლა		კლასი	
მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი,	დედა -	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	მამა -	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	მეურვე/	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ტელეფონი, ელ ფოსტა	მზრუნველი-		
იურიდიული მისამართი		ფაქტობრივი მისამართი	

ისგ ჯგუფის წევრები	სახელი და გვარი	ისგ ჯგუფის შეხვედრების თარიღები და მონაწილეები				
მშობელი/კანონიერი. წარმ		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ფსიქოლოგი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დამრიგებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ქართულის მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მათემატიკის მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ინგლისურის მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ხელოვნების მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბუნებისმეტყველების მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ფსიქოლოგი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სხვა სპეციალისტი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შენიშვნა: ჯგუფს დაემატება იმ მასწავლებელთა მონაცემები, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეს დამათ საგანში იქმნება ისგ.

მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე

საგანთა ჩამონათვალი	ისგ	ესგ	არ ესწრება	დამატებითი სერვისის საჭიროება
ქართული ენა და ლიტერატურა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> ინდივიდუალური გაკვეთილები რესურს ოთახში
მათემატიკა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

გამოყენებითი და სახვითი ხელოვნება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> სსმ პირის ასისტენტი <input type="checkbox"/> მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი <input type="checkbox"/> შესტური ენის თარჯიმანი <input type="checkbox"/> შესტური ენის სპეციალისტი <input type="checkbox"/> ოკუპაციური თერაპევტი <input type="checkbox"/> ენისა და მეტყველების სპეციალისტი <input type="checkbox"/> ფსიქოლოგი <input type="checkbox"/> ტრანსპორტით მომსახურება <input type="checkbox"/> ადაპტირებული ავეჯით სარგებლობა <input type="checkbox"/> შინ სწავლება <input type="checkbox"/> ინდივიდუალური განრიგით სარგებლობა <input type="checkbox"/> სხვა
მუსიკა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
ნგლისური	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
ბუნებისმეტყველება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
ჩვენი საქართველო	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
მე და საზოგადოება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
სპორტი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
მოქალაქეობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
ისტ-ი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

შენიშვნა: თუ მოსწავლე არ ესწრება რომელიმე საგანს და არ აქვს შეფასება აღნიშნულ საგანში

მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით შესაძლებელია შეფასების გარეშე გადავიდეს შემდეგ კლასში

მოსწავლის ინდივიდუალური განრიგი					
საგნები <input type="checkbox"/> დღეები <input type="checkbox"/>	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1					
2					
3					

4					
5					
6					
7					

შენიშვნა: ცხრილი ივსება მოსწავლის საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად, შემდეგი აღნიშვნებით: მწვანე - ესწრება კლასის გაკვეთილს, ყვითელი - რესურს ოთახში მუშაობა, წითელი - გაკვეთილისდროს არ არის სკოლაში

ინფორმაცია მოსწავლის შინ სწავლასთან დაკავშირებულ დეტალებზე		
შინ სწავლების ხარგრძლივობა -		დატვირთვა კვირის განმავლობაში -
საგანი	დატვირთვა კვირაში	პასუხისმგებელი მასწავლებელი

შენიშვნა: შინ სწავლების საჭიროება დადასტურებულია/უნდა იყოს დადასტურებული მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით.

მოსწავლის სწავლა-სწავლების ხელშემწყობი აკომოდაციები			
შავლო პროცესი	გარემო პირობები	დამხმარე საშუალებები	დრო, განრიგი
<input type="checkbox"/> ბრაილის ანბანი; <input type="checkbox"/> შრიფტის გაზრდა; კომუნიკაციისალტერნატიული საშუალებების გამოყენება (მაგ. კომუნიკაცია); ტექსტის ლექსიკისგამარტივება; ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილების მონიშვნა; ინსტრუქციის/მასალისმიწოდება ადასხვა გზებით; აუდიო მასალისგამოყენება; პერიოდი აქტივობისზეპირით	<input type="checkbox"/> საკლასო ოთახის მდებარეობა; <input type="checkbox"/> მერხების განლაგება; <input type="checkbox"/> მოსწავლეთა განთავსება; <input type="checkbox"/> განათების მორგება; <input type="checkbox"/> აკუსტიკური პირობების შექმნა; <input type="checkbox"/> სივრცე შესვენებისთვის;	<input type="checkbox"/> ასისტენტი, რომელიცმონიშნავს პასუხებს; <input type="checkbox"/> გამადიდებე ლი, ლუპა; <input type="checkbox"/> ხმის გამაძლიერებე ლი; <input type="checkbox"/> კალკულატორი; <input type="checkbox"/> კომპიუტერის ანდამხმარე მოწყობილობის	<input type="checkbox"/> დროისგაზრდა; <input type="checkbox"/> დროის შემცირება; <input type="checkbox"/> შეფასების, გამოცდ ეტაპობრივი ჩატარება; <input type="checkbox"/> დასწრების ინდივიდუალურიგრ <input type="checkbox"/> შესვენების ინდივიდუალურიგრ <input type="checkbox"/> დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა; <input type="checkbox"/> აქტივობების

ცვლელა ეპირი აქტივობის წერით (სხვა რმით) ჩანაცვლება სხვა.....	<input type="checkbox"/> ადაპტირებული ავეჯი; <input type="checkbox"/> სხვა -----	გამოყენება; <input type="checkbox"/> სხვა-----	ნაწილებად დაყოფა; <input type="checkbox"/> სხვა -----
--	--	---	--

მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერა

აკადემიური უნარები	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
წერა		
კითხვა		
თხრობა		
ანგარიში		
შემეცნების სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
აღქმა		
ყურადღება		
მეხსიერება		
აზროვნება		
კომუნიკაცია, ენა - მეტყველება	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
რეცეპტული ენა		
ექსპრესიული ენა		
სოციალურ- ემოციური სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
თვითცნობიერება		
თვითრეგულაცია		
ურთიერთობები		
ადაპტური სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
თვითმოვლის უნარები		
დამოუკიდებლობა		

ფიზიკური სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
მსხვილი მოტორიკა		
ნატიფი მოტორიკა		
მოსწავლის ინტერესები		

კლასის დამრიგებლის/ისგ ჯგუფის კოორდინატორის ხელმოწერა
დირექტორის ხელმოწერა
მშობლის ხელმოწერა
ფსიქოლოგის ხელმოწერა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საგანი)

მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა

ცნება		მოსწავლის მიღწევა
მკვიდრი წარმოდგენები	სწავლის შედეგები	
ცნება:		

ან

ცნება	მოსწავლის მიღწევა (ცოდნის აქტუალური დონე)
-------	---

გრძელვადიანი მიზნები

გრძელვადიანი მიზნები	
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს	მოსწავლემ უნდა შეძლოს
ცნება:	
ცნება:	

კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები

თემა/მიმართულება:		
კომპლექსური დავალების განხორციელების პერიოდი:		
გრძელვადიანი მიზნები	საკითხი/საკითხები:	კომპლექსური დავალება
	ეტაპები, აქტივობები, რესურსები	მოკლევადიანი მიზნები

მოსწავლის პროგრესის შეფასება

რას ვაფასებ?		
სოლო ტექსონომიის დონე	მოსწავლის შესრულების აღწერა	განმავითარებელი უკუკავშირი

<input type="checkbox"/> აბსტრაქტული		
<input type="checkbox"/> მიმართებითი		
<input type="checkbox"/> მულტისტრუქტურული		
<input type="checkbox"/> უნისტრუქტურული		
<input type="checkbox"/> პრექსტრუქტურული		

4. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
3. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.
4. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება 30% და მეტი გაცდენების გამო ექსტერნატის გამოცდები.

5. უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ)

სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

1. სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს

შეუწყობს მის განხორციელებას.


2. სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
3. მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
4. მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
5. ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
6. სკოლა წახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
7. სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები,

რომელიც

დამოუკიდებელი

ცხოვრებისათვის არის საჭირო);

8. ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;



9. გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
10. ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
11. სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

6. მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მართვა

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებს არ აქვთ ინტელექტუალური განვითარების შეფერხება, ისინი ისეთივე ნიჭიერები და გონებამახვილები შეიძლება იყვნენ, როგორც ნებისმიერი ბავშვი. მიუხედავად ამისა, მათ აღენიშნებათ სპეციფიკური სირთულეები სწავლაში და თუ სწავლების მეთოდი და სტრატეგია არ არის მორგებული მათი სწავლის უნიკალურ საჭიროებებზე, მათ ათვისების პრობლემები შეექმნებათ.


განასხვავებენ სწავლის უნარის დაქვეითების შემდეგ სახეებს -

(ა) დისკალკულია

(ბ) დისლექსია. სწავლის უნარის დარღვევა ყველა ბავშვის შემთხვევაში განსხვავებულია, თუმცა მათ შესაძლებელია ახასიათებდეთ ქვემოთ მოცემული თავისებურებები.

დისკალკულია

დისკალკულია მდგომარეობაა, რომელიც არითმეტიკული უნარების ათვისებას უშლის ხელს. დისკალკულიის მქონე მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს ციფრების ათვისების, მათი მნიშვნელობის გააზრების, მარტივი არითმეტიკული ოპერაციების შესრულების პრობლემები.



დისკალკულიის მქონე ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ თვლის, უკუთვლის სირთულეები. მათ შეიძლება შეასრულონ უკუთვლის დავალება 90; 80; 70. . მაგრამ გაუჭირდეთ ასეთი: 92; 82; 72. . . ბავშვებს ხშირად უჭირთ ციფრების თანმიმდევრობით დალაგება, განსაკუთრებით ისეთი ციფრების, როგორცაა 0. 5; 0. 6; 0. 7; 0. 9 და ა. შ. ასევე უჭირთ ტრანზიცია

თვლისას ერთეულებიდან ათეულებზე, ათეულებიდან ასეულებზე და ა. შ., მაგ., 198; 199; 200; 201 ან 998; 999; 1000; 1001 და სხვა.

ზოგიერთი მოსწავლისთვის შეიძლება დამაბნეველიც იყოს წილადი, მაგ., იმის გაგება, თუ რატომ არის $\frac{1}{2}$ მეტი, ვიდრე $\frac{1}{20}$, - როცა იციან, რომ 20 აქ ყველაზე დიდი ციფრია; ანალოგიურად უჭირთ ცხრილების გაგებაც. თვლის დროს დისკალკულიის მქონე ბავშვები ხშირად ეყრდნობიან თითებით ან კონკრეტული ობიექტებით კალკულაციას, ამიტომ უჭირთ დიდი ციფრებით ოპერირება. ხშირად მათ კალკულაციაში ეხმარება ე. წ. პატერნები, მაგ., წინარე ცოდნას - $3+2=5$, შეუძლია დახმარება კალკულაციაში: $43+2=45$. მოსწავლეს სწავლაში განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის მუშა მეხსიერების პრობლემები. ამ ფაქტის გამო შესაძლებელია მას გაუჭირდეს ზეპირად გაკეთებული კალკულაციის ჩაწერა. ბავშვი, რომელსაც მათემატიკის სწავლის სირთულეები აქვს, შეიძლება საკმაოდ წარმატებული იყოს სხვა,

არამათემატიკურ საგნებში, თუმცა ერთი რამ ფაქტია - დისკალკულია ენის ათვისების სირთულეს (დისლექსიას) უკავშირდება.

დისლექსია

დისლექსია ძირითადად წარმოადგენს ენის პროცესირების სირთულეს და ვლინდება წიგნიერების - კითხვის, ზოგ შემთხვევაში კი არითმეტიკული უნარების ათვისების სირთულეში. დისლექსიის მქონე ბავშვებისთვის სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს იშვიათად გამოყენებული სიტყვების კითხვა, მათ შორის აბსტრაქტული მათემატიკური ცნებების გაგება. მათ ასევე შეიძლება უჭირდეთ ასოების და სიტყვების ცნობა, სიტყვების სწრაფად და შეუფერხებლად ან თუნდაც ასო-ასო კითხვა. ზოგიერთ მათგანს უჭირს დროის ერთეულების, მაგ., კვირის დღეების ან თვეების თანმიმდევრობის დამახსოვრება. ასევე დამაბნეველი შეიძლება იყოს მათთვის დროის აღმნიშვნელი ლექსიკა, მაგ., 5-ის 10 წუთია ან ხუთს ათი წუთი აკლია. ბავშვებს უჭირთ იმ ლექსიკის ათვისება, რომელიც გამოხატავს დროს, გაზომვას, მიმართულებას, სივრცეს. მათ ბევრი დრო სჭირდებათ იმისთვის, რომ მარჯვენა- მარცხენის გარჩევა ისწავლონ. მათთვის ასევე რთულია სამგანზომილებიანი ობიექტების და ორგანზომილებიანი გამოსახულების ცნობა. ბავშვებს ასევე შეიძლება გაუჭირდეთ ცხრილების წაკითხვა, მაგ., X და Y ღერძების გააზრება/დამახსოვრება.

შეიძლება უჭირდეთ სიდიდეების ამსახველი ცნებების გაგება, მაგ., ინსტრუქცია - „უდიდეს სიდიდეს გამოაკელით უმცირესი სიდიდე“ - შეიძლება რთული იყოს მათთვის. ეს იმ სირთულეების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც შეიძლება აღენიშნებოდეს სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვს, თუმცა მასწავლებელს უნდა ახსოვდეს: დისლექსიის ან დისკალკულიის მქონე ყველა ბავშვი უნიკალურია; საჭიროა ყურადღებით ყოფნა, რათა მისი უნიკალური საჭიროება არ გამოჩრეს და მოახდინოს დროული და ადექვატური რეაგირება. დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში არსებობს ოჯახები სიღარიბის ზღვარს მიღმა, ბევრი ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს არა სკოლასა და ოჯახში, არამედ ქუჩაში ატარებს.

სოციალური (ინტერპერსონალური, ოჯახური, ეკონომიკური, კულტურული) ფაქტორები ერთ-ერთი ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომელსაც უარყოფითი გავლენა

შეიძლება ჰქონდეს ბავშვის სწავლაზე და მოგვიანებით, ზრდასრული პიროვნების ცხოვრების ხარისხზე. მძიმესოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის გავლენა განსაკუთრებით ნეგატიურია, რამდენადაც ის განათლების გარდა ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროებსაც ეხება, როგორც კვება და ჯანმრთელობა, კოგნიტური განვითარება, ემოციური მდგომარეობა.

ისეთი ფაქტორი, როგორცაა საცხოვრებელი სახლის არ არსებობა, კავშირშია ბავშვების ემოციურ განვითარებასთან. ეს ფაქტორი იწვევს ისეთ ფსიქოლოგიურ პრობლემებს, როგორცაა აღზნების/შფოთვის მაღალი დონე, დეპრესია და ქცევითი აშლილობა.

ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებში ბევრად ხშირია ქცევითი აშლილობები, მაღალია დეპრესიის შფოთვისა და აღზნების დონე, ვიდრე დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებში. ყველა ეს ფაქტორი განიხილება როგორც სწავლის ხელშემშლელი პირობა, რადგან ქუჩაში ცხოვრებით გამოწვეული სტრესი მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვის სასკოლო წარმატებას.

იმისათვის, რომ მოზარდმა მძიმე სოციალური გამოცდილებით შესძლოს საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა, თანამონაწილეობა და პროგრესის ჩვენება. მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს, რომ მოსწავლეს გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა სკოლასთან და გააცნობიეროს სასკოლო ცხოვრების მნიშვნელობა.

საწყის ეტაპზე სკოლასთან იდენტობა, მოსწავლის როლის მორგება/ გათავისება, ხდება იმ წარმატების საფუძველზე, რასაც ბავშვი სწავლის პროცესში აღწევს. ბავშვი, რომელიც წარმატებულია და იღებს დადებით შეფასებებს, თავს აღიქვამს სკოლის და კლასის წევრად, უჩნდება კლასთან იდენტობა, ეს კი, თავის მხრივ, ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ჩაერთოს საკლასო აქტივობებში, რაც მისი მაღალი აკადემიური მიღწევის აუცილებელი პირობაა. ბავშვისთვის, რომელიც ცხოვრების დიდ ნაწილს ქუჩაში ატარებს, სწორედ ქუჩაში ცხოვრების წესია მისთვის მნიშვნელოვანი და წამყვანი. ასევე ბავშვს, რომელიც ოჯახთან ერთად თავშესაფრის ძიებაში ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს და სკოლას, ბუნებრივია, გაუჭირდება სკოლასთან იდენტობის განცდა. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების სკოლაში ჩართვა, გარდა განათლებისა, იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ხშირად სკოლა მათთვის სტაბილურობის ერთადერთი წყაროა, რომელსაც შეუძლია ბავშვს აღმოუჩინოს ის აუცილებელი მხარდაჭერა, რომელიც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ბავშვებს, რომლებსაც კლასი გაამეორებინეს, აქვთ ბევრად დაბალი თვითშეფასება, სოციალიზაციის პრობლემა და გამოხატავდნენ ბევრად ნეგატიურ დამოკიდებულებას

სკოლისადმი, ვიდრე სხვა ბავშვები.

კლასში ჩატოვება მნიშვნელოვნად ზრდის ბავშვის მიერ სკოლის მიტოვების ალბათობას კლასში ჩატოვება მხედველობის დაკარგვასა და მშობლების დაკარგვასთან ერთად არის ყველაზე ძლიერი სტრესფაქტორი ბავშვებისთვის.

გამოიყო ძირითადი საჭიროებები, რომლებიც ხელს უშლის ქუჩაში მცხოვრები ბავშვების სწავლას:

- მუდმივი საცხოვრებელის საჭიროება – საცხოვრებელი ადგილის ხშირი ცვლა იწვევს სკოლის ხშირ ცვლას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სწავლაზე.
- სკოლაში დასწრების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული საცხოვრებელი ადგილის ცვლის სიხშირესთან. ასევე, ბავშვის გადაყვანა ერთი ოჯახიდან მეორეში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დასწრებასა და სწავლაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ბავშვი ხშირად არ იცვლიდეს საცხოვრებელ ადგილს და შენარჩუნებული იყოს ოჯახის და ბავშვის თემთან კავშირი (ჰქონდეს გარკვეული იდენტიფიკაცია თემთან).
- ძალადობისგან დაცვის საჭიროება – ბავშვი, რომელიც დიდი დროს ატარებს ქუჩაში, შეიძლება იყოს ძალადობის მსხვერპლი როგორც თანატოლების, ასევე უფროსების მხრიდან. ეს ფაქტი არა მხოლოდ სწავლაზე ახდენს ცუდ გავლენას, არამედ ბავშვის ემოციურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. საჭიროა სკოლამ და თემმა იზრუნონ ძალიან დელიკატური და არადისკრიმინაციული გზით, რომ საჭიროების შემთხვევაში ბავშვებს შესთავაზონ ფსიქოლოგიური სამსახური კონფიდენციალობის სრული დაცვით.
- რა სირთულის წინაშე არ უნდა იდგეს მოზარდი, სოციალური სტატუსი არ უნდა გახდეს მისი სკოლიდან გარიყვის მიზეზი. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოზარდთა სასწავლო პროცესში ჩართვა, თანამონაწილეობა და აკადემიური პროგრესის მიღწევა. განათლების პროცესის სწორად ორგანიზების შემთხვევაში შესაძლებელია განათლების ფუნდამენტური მიზნების მიღწევა.

მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების განსაზღვრისა და სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი მექანიზმი:

1. კლასის დამრიგებელი მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციასა და საკუთარ დაკვირვებაზე დაყრდნობით აკეთებს მუდმივ მონიტორინგს, რომლის შედეგებს აცნობს დირექციას;
2. დირექცია მასწავლებლების მიერ გაკეთებულ განმავითარებელ შეფასებებს აანალიზებს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნა (დამრიგებლის ყოველთვიური კომენტარები და საგნის მასწავლებლების კომენტარები სემესტრში ორჯერ);

3. გაკვეთილზე დაკვირვების დროს სხვა კრიტერიუმებთან ერთად, ყურადღება ექცევა მოსწავლის სწავლის შესაძლო სირთულეებს. სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ სემესტრში ორჯერ ხდება დაკვირვების შედეგებთან დაკავშირებით კლასში შემავალ მასწავლებლებთან ერთად მსჯელობა.
4. იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და მისთვის საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება, საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კლასის დამრიგებელს (საგნის მასწავლებლის შემთხვევაში), სკოლის დირექციას.
5. შესაბამის ინფორმაციას სკოლის დირექცია აწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ორგანიზებას უწევს მოსწავლის კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექციის, ფსიქოლოგისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის შეხვედრას.
6. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების შემთხვევაში, მოსწავლის კლასის დამრიგებელი მიმართავს ფსიქოლოგს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის შესახებ წერილობითი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე. მასწავლებელი/მასწავლებლები/კლასის დამრიგებელი, სპეც. მასწავლებელი(არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრავენ და იღებენ ზომებს მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, კლასის დამრიგებლის (მასწავლებლის შემთხვევაში) და სკოლის დირექციის წარმომადგენლის ჩართულობით.
7. მოსწავლის კლასის დამრიგებელი და მასწავლებელი/მასწავლებლები ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე ვალდებული არიან შეასრულონ რეკომენდაციები. ასევე, აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრონ და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით.
8. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულე, მიუხედავად სკოლის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ზომების მიღებისა ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს 1-დან 2 თვის განმავლობაში, სკოლის დირექტორი სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებას.

7. მოსწავლის სირთულის ანალიზი

მოსწავლე:

საგანი:

ზოგადი ხასიათის პრობლემები, რომლებმაც გამოიწვია ჩავარდნა;

ამ პრობლემების სავარაუდო მიზეზები.

სპეციფიკური ხასიათის პრობლემები, რომლებმაც გამოიწვია ჩავარდნა;

ამ პრობლემების სავარაუდო მიზეზები.

რის გაკეთებაა დაგეგმილი პრობლემების გადასაჭრელად სემესტრის განმავლობაში (ჩამოწერეთ კონკრეტული საქმიანობები და აღნიშნეთ მოსწავლის, მასწავლებლის და მშობლის პასუხისმგებლობები).

მშობელი.....- მასწავლებელი

დამრიგებელი

„სკოლაში ყველა კლასს უნდა ჰყავდეს დამრიგებელი. სკოლაში დამრიგებელი უნდა იყოს იმავე სკოლის მასწავლებელი. „
მე3 თაზის ე.ს.გ.მუხლ19.

1. დამრიგებლის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით:

- ა) **სრულფასოვანი აღზრდა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
- ბ) **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- გ) **მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება** - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლამქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
- დ) **თანამშრომლობის პრინციპი** – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

2. დამრიგებლის მოვალეობებია:

- ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
- ბ) დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზოსამუშაო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდავითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.
- გ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
- ე) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ზ) სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

თ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

5. რეკომენდებულია, სკოლის დამრიგებელი გაეცნოს სამინისტროს და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებულ და/ან რეკომენდებულ შესაბამის მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებს.

6. X კლასში სადამრიგებო საათის ფარგლებში იმუშავებს "ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების" თემატიკაზე. რესურსი: პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მასწავლებელთა გზამკვლევი და პრაქტიკული სახელმძღვანელო (IX- XI კლასი)

სკოლა-ლიცეუმს შემუშავებული აქვს "დამრიგებლის დებულება," რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

თავი VI

საგნობრივი კათედრები

მე-3 თაობის ე.ს.გეგმის მუხლი 20 თანახმად, სკოლა-ლიცეუმში შექმნილია საგნობრივი ჯგუფების მიხედვით 5-საგნობრივი კათედრა, რომლებშიც გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი. კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ოპტიმიზაციას, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ხარისხის ამაღლებას, სასწავლო დისციპლინების სწავლების გაუმჯობესებას. ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ზრდას.

კათედრების მოწყობა:

- ა) კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით ხმათა უმრავლესობით;
- ბ) ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

- ა) კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- ბ) სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ., გრიფინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
- გ) მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება.

კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით). კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე

საგნობრივი ჯგუფის კათედრები

საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების კათედრებში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო და არჩევითი საგნები:

1. სახელმწიფო ენისა და უცხოური ენების - (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები- ინგლისური , რუსული) - თავმჯდომარე ანა წურწუშია

2.საზოგადოებრივი მეცნიერების-- “ჩვენი საქართველო“ , ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, არჩევითი საგანი „მსოფლიო კულტურა“; -

თავმჯდომარე - თინათინ დუშაშვილი

3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების- (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები) არჩევითი საგანი „ასტრონომია“ I და II მოდული.

თავმჯდომარე - მარინა ნადარაია

4. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის -(სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ჭადრაკი ,სპორტი) - თავმჯდომარე - ხათუნა ფაჩულია

5.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჯგუფის- (I-IV კლასი) (ქართული ენა და ლიტერატურა , ბუნებისმეტყველება , ფიზიკური აღზრდა , მე და საზოგადოება (I-II-III-IV კლასი) ნანი ივანიშვილი

კათედრაში შემავალი საგნების კვირეული საათობრივი დატვირთვა

I. სახელმწიფო ენისა და უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების

კათედრა აერთიანებს სახელმწიფო ენის , უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა) პედაგოგებს

1.ქართულ ენა და ლიტერატურა: V-XII- კლასებში კვირაში ეთმობა 5- აკ.საათი .

2.ინგლისურ ენას (პირველი უცხოური ენა) I-კლ. - 1სთ.; X-კლასში-3 სთ

II-III-IV-V-VI-VII-VIII- IX-.-XI- XII კლასში -4სთ

3.რუსულ ენას (მეორე უცხოური ენა) V-XII -კლასებში კვირაში ეთმობა 2 აკ.საათი

II. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების კათედრა აერთიანებს „ჩვენი საქართველოს“, ისტორიის,გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების და საქართველოს ისტორიის პედაგოგებს.

1). საგანი „ჩვენი საქართველო“- კვირაში V-კლასში-2 აკ.სთ.VI კლ. 3- აკ.საათი.

2). ისტორიას VII ,X,XIIკლ.2 სთ.VIII-2/3სთ.-IX-XIკლასში კვირაში ეთმობა 3-აკ.საათი,

3). გეოგრაფიას- VII,VIII,IX ,X,XI კლასებში კვირაში ეთმობა 2-აკადემიური საათი.

4.) საქართველოს ისტორია ისწავლება მე-10 კლასში კვირეული დატვირთვით 2 აკ.სთ.

5). სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - VIII-XIIკლასებში ისწავლება II-

სემესტრში, ჯამურად 14-აკ. საათი

6). სამოქალაქო განათლებას -IX –X კლასებში კვირაში ეთმობა 2-აკადემიური საათი

7).საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება-ისწავლება XI კლასში

მთელი ს.წელი კვირაში 1 სთ.

8). არჩევითი საგანი „მსოფლიო კულტურა“-ისწავლება X კლასში მთელი სასწ.წ.

და კვირაში ეთმობა 2 აკ.საათი.

XI-ასტრონომია 1-მოდული მთ.სასწ.წელი 2 აკ.საათი; XII-ასტრონომია II მოდული 1 სემესტრში 2 აკ.საათი

III. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების

საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების კათედრა

აერთიანებს ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ფიზიკის,ქიმიის, მათემატიკის

და კომპიუტერულ ტექნოლოგიების . პედაგოგებს

- 1) ბუნებისმეტყველებას -V-VI კლასებში კვირაში ეთმობა 3 აკადემიური საათი.
- 2). ბიოლოგიას VII-VIII- IX –X-XI –XII კლასებში ეთმობა კვირაში 2 აკადემიური საათი
- 3). მათემატიკას V- VI-4სთ, VII-VII,IX, X-XI-XII-კლასში ეთმობა კვირაში 5 აკად. საათი
- 4).ფიზიკას -VII-VIII-X-XI –XII კლასში ეთმობა კვირაში 2 აკადემიური საათი, ხოლო IX კლასში 3- აკადემიური საათი კვირაში.
- 5). ქიმიას VIII- IX –X-XI-XII კლასებში ეთმობა კვირაში 2 აკადემიური საათი

7). კომპიუტერული ტექნოლოგიები

II,III,IV -კლასებში ისწავლება კვირაში 1 -საათი.

V- VI- კლასებში კვირაში ეთმობა 2-აკადემიური საათი.

- 8). არჩევითი საგანი „-ასტრონომია „ სასწავლო კურსი ორ მოდულიანია, მისი პირველი მოდული გათვალისწინებულია XI კლასისთვის და ისწავლება მთელი წელი, მეორე მოდული კი მხოლოდ XII კლასის მოსწავლეებისათვის. მოიცავს 30 აკ.საათს

IV. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი

ჯგუფის საგნის/საგნების კათედრა აერთიანებს ხელოვნების, ჭადრაკის, მუსიკის საგნაო ნიშნების და სპორტის პედაგოგებს

- 1). სახვითი და გამოგენებითი ხელოვნებას I-კლასში 1-სემესტრი 2 აკ.საათი, მე-2 სემესტრში 1 აკ.სთ. II,III-VI კლასებში, კვირაში ეთმობა 1-აკ. საათი. IV-V- კლასებში 2 აკადემიური საათი, VII-VIII-IX კლასებში

1-აკადემიური საათი

- 2). მუსიკას I-IX-კლასებში კვირაში ეთმობა 1-აკადემიური საათი

3). ფიზიკური აღზრდას და სპორტს

I-II-III-IV კლასებში კვირაში ეთმობა 3-აკადემიური საათი.

-V-2სთ.-VI-2სთ.-VII-1სთ-VIII-2სთ-;IX-X-XI-XII კლასში ეთმობა 1აკ.საათი

4.საგნაო ნიშნებს,

შენიშვნა: 1. I-II-III-IV კლასებში ფიზიკურ აღზრდას ასწავლის დაწყებითი კლასის მასწავლებლები, რომლებიც გაერთიანებული არიან სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრაში

V. დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრა (I-IV -კლასები)

აერთიანებს ქართული ენის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების და „მე და სოფა-დობის“ პედაგოგებს

1.ქართულ ენასა და ლიტერატურას I-II- კლასებში კვირაში ეთმობა 7-აკად.საათი ხოლო III- IV- კლასში კვირაში ეთმობა 6-აკადემიური საათი.

2.მათემატიკის სწავლებას I კლ 4/5 სთ.- II –III-IV კლასებში კვირაში ეთმობა 5- აკ. საათი.

3.ბუნებისმეტყველებას I- II-III-IV კლასებში კვირაში ეთმობა 2-აკადემიური საათი.

4). საგანი „მე და საზოგადოება“ ისწავლება III-IV კლასებში კვირაში 2 აკ. საათი

5.საგანი ჭადრაკი- 1-II-კლ. კვირაში 1 აკ.საათი

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

სკოლა იცავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებას. მათ შორის:

1.სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ

ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის.

2.სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით. (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

3. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.

4. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.

5.სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს - უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრების ხელშეუხებლობის უსაფრთხო გარემო და ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.

6.სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას სასკოლო დროს,აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.

7. სკოლაში სასკოლო დისციპლინა დაცულია სკოლის შინაგანაწესით.;

8.სკოლის მოსწავლე სარგებლობს მობილობის უფლებით, რის შესახებაც ინფორმირებულია მოსწავლის მშობელი.

9.სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი ფლობს ინფორმაციას საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რის გაცნობასაც უზრუნველყოფს სკოლა დამრიგებლების მეშვეობით.

10.სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა).

11.სკოლა მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით.

12.მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

ტრანზაციის მხარდამჭერი აქტივობები

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

2. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო

პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;

3. სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.

4. საქმისმწარმოებელი შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;

5. აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის

საქმისმწარმოებელი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული

განათლების შესახებ ინფორმაციას;

6. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;

7. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე)

დამრიგებელი

აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას ;

8. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს

მოსწავლეთა

გაცნობისა და დაახლოებისთვის;

9. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს

ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;

10. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება - მოვალეობებს, შინაგანაწესს მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს

დასკვნითი დებულება:

სასკოლო სასწავლო გეგმის მოქმედების ვადაა ერთი სასწავლო წელი.;

სასკოლო სასწავლო გეგმა განახლებადია წლიური შედეგებისა და

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართების სახით ერთვის სასკოლო

კურიკულუმები

საფეხურების მიხედვით:

✓ დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი (დანართი 1)

✓ საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი (დანართი 2)

✓ საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი (დანართი 3)

თავი VII

სკოლის ძირითადი მეთოდური ორიენტირები

სკოლა-ლიცეუმი მე-3, თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ორიენტირებულია, სკოლის საერთო კულტურისა და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, მოსწავლის ინდივიდუალობის გათვალისწინებით სასკოლო თემის ცხოვრებაში აქტიური ჩართვისათვის თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებს, სადაც მოსწავლე დაფასებული და აღიარებულია. მასწავლებელთან ერთად პასუხისმგებელია საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. დაცულია სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

მყარი და დინამიური ცოდნის მისაღებად სკოლა-ლიცეუმი ზრუნავს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივ მიწოდებაზე, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვასა და საგანთაშორისი კავშირების გამოვლენაზე. განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაღებად, მოსწავლეები უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

სკოლა-ლიცეუმი ორიენტირებულია მოსწავლის შემოქმედებითი უნარის, ინოვაციის, რისკის და დასახული მიზნის მიღწევის მოტივაციის გაზრდაზე, რაც გულისხმობს - სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას, ამ მხრივ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სკოლის მიმდებარედ არსებული წარმოება-დაწესებულებების საწარმოო პროცესების დათვა-ლიერება-გაცნობას. რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაანახოს მოსწავლეებს მისი იდეების რეალურ შესრულებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას შორის კავშირი. ამ მხრივ სასკოლო თემის ცხოვრებაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისთვის. დისციპლინითა და ჩართულობით მოსწავლეს დაანახოს დავალების მიზანი, მისი საჭიროება, კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება აქვთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

სკოლა-ლიცეუმის შემუშავებული აქვს „დისციპლინური კომიტეტის დებულება“ რომელიც ხელს შეუწყობს დისციპლინური ღონისძიებების გატარებას ისე, რომ არ შეილახოს მოსწავლეთა ღირსება. სკოლა-ლიცეუმის შინაგანაწესის მე-4 მუხლით აკრძალულია ნებისმიერი დისკრიმინაცია

შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები

შიდა სასკოლო მონიტორინგი ემსახურება :

1. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ოპტიმიზაციას;
2. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას;
3. თანამშრომელთა სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცებას;
4. სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას;
5. მოსწავლეთა უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას;
6. საგნობრივი კათედრების მუშაობის ეფექტურად წარმართვას;
7. კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიებების მიზანმიმართულ ჩატარებას;
8. მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას;
9. მოწინავე მოსწავლეებისა და მასწავლებლების სტიმულირების ღონისძიებების გატარებას.